საქართველოს
პირველი არხი

# პრაიმ თაიმში „მოამბის“ წინასაარჩევნო მონიტორინგის ანგარიში

1.09.20 - 10.10.20



არჩევნები 2020

პირველი არხის და საქართველოს რადიოს საინფორმაციო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულების ყველა გადაცემის მონიტორინგი პირველი სექტემბრიდან მიმდინარეობს და მიზნად ისახავს მონიტორინგის სუბიექტებისთვის დათმობილი დროის რაოდენობრივი მონაცემების დათვლას.

მნიშვნელოვანია, რომ მონიტორინგი წარმოებს სპეციალურად შექმნილი პროგრამის საშუალებით, თითოეულ ჩანაწერზე ტელეგადაცემის/სიუჟეტის ლინკის მითითებით. როგორც პრაიმ თაიმში, ასევე ოფ პრაიმში გაშუქებული ინფორმაციის დამუშავებას უზრუნველყოფენ სხვადასხვა პლატფორმისა და გადაცემის სპეციფიკის გათვალისწინებით დატრენინგებული მონიტორები.

## მონიტორინგის სუბიექტები არიან:

- საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნებისათვის ცესკოში რეგისტრირებული პარტიები/ბლოკები
- პარლამენტის არჩევნებისათვის საინიციატივო ჯგუფების მიერ წარდგენილი, ცესკოში რეგისტრირებული, მაჟორიტარი კანდიდატები
- საკრებულოების შუალედური და მერების რიგგარეშე არჩევნებზე ცესკოში რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტები
- აჭარის უმაღლესი საბჭოს საარჩევნო სუბიექტები
- მთავრობა
- პარლამენტი
- პრეზიდენტი
- ადგილობრივი თვითმმართველობები
- ცესკო
- არასამთავრობო ორგანიზაციები
- საერთაშორისო ორგანიზაციები

# მონიტორინგის მეთოდოლოგია

წინასაარჩევნო მონიტორინგის რაოდენობრივი მონაცემები მოიცავს სუბიექტისთვის (გამომსვლელისთვის) დათმობილ დროს, პირდაპირ და ირიბ გაშუქებას დათმობილი დროის და გაშუქების ტონის მიხედვით (პოზიტიური, ნეგატიური, ნეიტრალური). ამასთან განვმარტავთ, რომ სუბიექტისთვის (გამომსვლელისთვის) დათმობილი დრო წარმოადგენს სუბიექტის პირდაპირ გაშუქებას. ამ მონაცემს გამოვყოფთ იმისათვის, რომ ხაზი გავუსვათ საარჩევნო სუბიექტებისათვის მაუწყებლის მიერ დათმობილი დროის გადანაწილებას.

- პირდაპირ გაშუქებად ითვლება, როდესაც სუბიექტი თავად საუბრობს
- ირიბ გაშუქებად ითვლება, როდესაც სუბიექტზე საუბრობენ სხვები

მონიტორი აღნიშნავს სუბიექტის მიერ ნახსენებ ყველა ობიექტს ცალ- ცალკე, ქრონომეტრაჟის და გაშუქების ტონის მითითებით. საარჩევნო მონიტორინგის დროს ქრონომეტრაჟი არ მრგვალდება. გაშუქების ტონის განსაზღვრისას:

- ნეგატიურად ითვლება გამომსვლელის მიერ მწვავე, უარყოფითი კონოტაციის შემცველი სიტყვების გამოყენებით გაკეთებული განცხადებები
- პოზიტიურად ითვლება გამომსვლელის მიერ დადებითი კონოტაციის შემცველი სიტყვების გამოყენებით გაკეთებული განცხადებები
- ნეიტრალურად ითვლება სიტუაციის აღწერა, ფაქტების დაფიქსირება, ასევე ინფორმაცია, რომელიც არ გამოხატავს გამომსვლელის დამოკიდებულებას, მშრალად, დადებითი და ნეგატიური კონოტაციის შემცველი სიტყვების გამოყენების გარეშე აღწერს მოვლენებს.

მონიტორინგი ასახავს, როგორც სუბიექტებისათვის დათმობილი მთლიანი დროის შეფასებას ტონის მიხედვით, ასევე ჟურნალისტის მიერ სუბიექტების გაშუქების/ხსენების დროს და ტონს.

მედიამონიტორინგის ცალკეული კომპონენტები გამოქვეყნდება ყოველკვი-რეულად, მთლიანი ანგარიში კი - საარჩევნო პროცესის დასრულების შემდეგ.

უკვე გამოქვეყნდა „მოამბის" და „საქართველოს რადიოს" საინფორმაციო გამოშვებების წინასაარჩევნო მონიტორინგის ანგარიშები თვის ჭრილში (პირველიდან 30 სექტემბრის ჩათვლით). **ამჯერად წარმოგიდგენთ პრაიმ თაიმში განთავსებული საინფორმაციო გამოშვებების (მოამბე 18:00) და (მოამბე 21:00) წინასაარჩევნო მონიტორინგის შედეგებს პირველი სექტემბრიდან ათი ოქტომბრის ჩათვლით.**

ანგარიში მოიცავს საანგარიშო პერიოდში, როგორც საარჩევნო, ასევე არასაარჩევნო თემებში გაშუქებულ მონიტორინგის ყველა სუბიექტს, საარჩევნო და არასაარჩევნო სუბიექტების დაჯგუფებით.

## მონიტორინგის საარჩევნო სუბიექტები

ანგარიშში დაჯგუფებულია მონიტორინგის საარჩევნო სუბიექტები. მათ შორის არის 15 ოქტომბრის მდგომარეობით რეგისტრირებული, საინიციატივო ჯგუფების მიერ წარდგენილი, მაჟორიტარი კანდიდატების გაშუქების ხანგრძლივობა ჯამურად (ანგარიშში წარმოდგენილია, როგორც დამოუკიდებელი დეპუტატები), საკრებულოების შუალედური და მერების რიგგარეშე არჩევნების სუბიექტებისთვის დათმობილი დრო ჯამურად (ანგარიშში წარმოდგენილია, როგორც ადგილობრივი თვითთმმართველობების არჩევნები), აჭარის უმაღლესი საბჭოს საარჩევნო სუბიექტებისთვის დათმობილი დრო ჯამურად (ანგარიშში წარმოდგენილია როგორც აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნები).

პარტიები/ბლოკები აღნიშნულია სახელწოდებებით, რომლითაც ისინი მონაწილეობენ არჩევნებში. მონაცემები აღებულია ცესკოს ოფიციალური ვებგვერდიდან.

საანგარიშო პერიოდში პრაიმ თაიმში გაშუქებული საარჩევნო თემების რაოდენობაა 443, დათმობილი დრო 17:11:55 (ჩვიდმეტი საათი, თერთმეტი წუთი და ორმოცდათხუთმეტი წამი).

მონიტორინგის მიხედვით, გაშუქება ხორციელდება საარჩევნო სუბიექტების აქტივობის შესაბამისად. სულ გაშუქდა 45 საარჩევნო სუბიექტი, მათ შორის 42 რეგისტრირებული პარტია/ბლოკი. წარმოდგენილი საარჩევნო სუბიექტებისთვის (გამომსვლელებისთვის) დათმობილი დრო მოამბეში არის 7:58:01 (შვიდი საათი, ორმოცდათვრამეტი წუთი და ერთი წამი).

საარჩევნო სუბიექტებს შორის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს ბლოკს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“(1:02:48) მეორე ადგილზეა პარტია „ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია - ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“ (1:01:40), მესამე პოზიციაზეა „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (1:01:04). ეს არის მიმდინარე საარჩევნო კამპანიის ყველაზე მეტი აქტივობებით გამორჩეული სამი სუბიექტი, მათი აქტივობები პირდაპირპროპორციულად ასახულია მოამბის ეთერში და შესაბამისად ჩანს მონიტორინგის შედეგებში.

(ცხრილი #1 - საარჩევნო სუბიექტები (გამომსვლელები) დათმობილი დროის და პროცენტული გადანაწილების მითითებით)

| საარჩევნო სუბიექტები | დათმობილი დრო | % |
|---|---|---|
| ბლოკი ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია ძალა ერთობაშია | 1:02:48 | 13.14% |
| ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია - ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის | 1:01:40 | 12.90% |
| ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო | 1:01:04 | 12.78% |
| ლელო - მამუკა ხაზარაძე | 0:30:23 | 6.36% |
| ბლოკი გიორგი ვაშაძე - სტრატეგია აღმაშენებელი | 0:24:50 | 5.20% |
| შალვა ნათელაშვილი-საქართველოს ლეიბორისტული პარტია | 0:20:35 | 4.31% |
| ეკა ბესელია - პ.პ. სამართლიანობისთვის | 0:17:38 | 3.69% |
| ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი | 0:16:30 | 3.45% |
| ნინო ბურჯანაძე - ერთიანი საქართველო-დემოკრატიული მოძრაობა | 0:14:35 | 3.05% |
| დავით თარხან - მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი | 0:13:59 | 2.93% |
| თავისუფალი საქართველო (კახა კუკავა, გიორგი წულაია) | 0:12:59 | 2.72% |
| არჩევანი სამშობლოსათვის | 0:10:13 | 2.14% |
| გირჩი | 0:09:10 | 1.92% |
| ზვიად ძიძიგური - საქართველოს კონსერვატიული პარტია | 0:08:28 | 1.77% |
| მომავალი საქართველო | 0:07:48 | 1.63% |
| პარტია თეთრები | 0:06:31 | 1.36% |
| ირაკლი ოქრუაშვილი - გამარჯვებული საქართველო | 0:06:17 | 1.31% |
| რეფორმერი | 0:05:48 | 1.21% |
| პროგრესული საქართველო | 0:05:47 | 1.21% |
| დამოუკიდებელი დეპუტატობის კანდიდატები | 0:05:36 | 1.17% |
| ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები | 0:05:28 | 1.14% |
| თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის | 0:05:18 | 1.11% |
| საქართველოს განვითარების პარტია | 0:05:14 | 1.09% |
| გაჩეჩილაძე - მწვანეთა პარტია | 0:05:09 | 1.08% |
| ახალი ძალა | 0:05:00 | 1.05% |
| სახალხო პარტია | 0:05:00 | 1.05% |
| მშრომელთა სოციალისტური პარტია | 0:05:00 | 1.05% |

| | | |
|---|---|---|
| ეროვნულ დემოკრატიული მოძრაობა | 0:05:00 | 1.05% |
| ქართული იდეა | 0:05:00 | 1.05% |
| რეფორმატორები | 0:05:00 | 1.05% |
| ჯონდო ბაღათურია - ქართული დასი | 0:04:43 | 0.99% |
| დავით ჭიჭინაძე - ტრიბუნა- ქდმ | 0:04:13 | 0.88% |
| ბეჟან გუნავა - ქართული არჩევანი | 0:04:06 | 0.86% |
| ქართული მარში - ეროვნული მოძრაობა | 0:02:39 | 0.55% |
| თავისუფალი დემოკრატები | 0:01:58 | 0.41% |
| ადგილობრივი თვითმმართველობების არჩევნები | 0:01:42 | 0.36% |
| გია ჟორჟოლიანი - სოციალ - დემოკრატები საქართველოს განვითარებისათვის | 0:01:12 | 0.25% |
| საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა | 0:00:46 | 0.16% |
| აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნები | 0:00:44 | 0.15% |
| თავისუფლება - ზვიად გამსახურდიას გზა | 0:00:40 | 0.14% |
| სოციალური სამართლიანობისათვის | 0:00:32 | 0.11% |
| ქართული ფესვები | 0:00:29 | 0.10% |
| სერგო ჯავახიძე - ევროატლანტიკური ვექტორი | 0:00:20 | 0.07% |
| საქართველო | 0:00:09 | 0.03% |

(გრაფიკი # 1 - საარჩევნო სუბიექტებისთვის (გამომსვლელებისთვის) დათმობილი დრო)

## სუბიექტებისთვის დათმობილი დრო



საარჩევნო სუბიექტების ირიბ გაშუქებას დაეთმო 5:59:44 (ხუთი საათი, ორმოცდაცხრამეტი წუთი და ორმოცდაოთხი წამი). ყველაზე მაღალი ირიბი გაშუქება საარჩევნო სუბიექტებს შორის აქვს პარტიას „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (1:36:55), რაც ნიშნავს რომ ქართულ ოცნებაზე საუბარს მონიტორინგის სხვა სუბიექტებმა ყველაზე მეტი დრო დაუთმეს; მეორე ადგილზეა ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ (1:22:59); მესამე პოზიციაზეა პარტია „ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია - ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“ (0:32:15).

### მონიტორინგის ფარგლებში გამოიკვეთა:

- ზოგადად ოპოზიციის ირიბი გაშუქება (00:26:25), რომელიც არ მიეკუთვნა არც ერთ პოლიტიკურ სუბიექტს და შესაბამისად არ შედის საერთო მონაცემებში.
- ასევე ზოგადად უმრავლესობის ირიბი გაშუქება (00:01:10) არ მიეკუთვნა მონიტორინგის არც ერთ სუბიექტს და არ შედის საერთო მონაცემებში.

## (ცხრილი # 2 - საარჩევნო სუბიექტების პირდაპირი და ირიბი გაშუქება დათმობილი დროის მითითებით)

| საარჩევნო სუბიექტები | პირდაპირი | ირიბი |
|---|---|---|
| ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო | 1:01:04 | 1:36:55 |
| ბლოკი ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია ძალა ერთობაშია | 1:02:48 | 1:22:59 |
| ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია - ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის | 1:01:40 | 0:32:15 |
| ლელო - მამუკა ხაზარაძე | 0:30:23 | 0:18:41 |
| ბლოკი გიორგი ვაშაძე - სტრატეგია აღმაშენებელი | 0:24:50 | 0:14:16 |
| შალვა ნათელაშვილი-საქართველოს ლეიბორისტული პარტია | 0:20:35 | 0:12:37 |
| დავით თარხან - მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი | 0:13:59 | 0:10:18 |
| ეკა ბესელია - პ.პ. სამართლიანობისთვის | 0:17:38 | 0:06:16 |
| ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი | 0:16:30 | 0:07:21 |
| თავისუფალი საქართველო (კახა კუკავა, გიორგი წულაია) | 0:12:59 | 0:08:51 |
| ნინო ბურჯანაძე - ერთიანი საქართველო-დემოკრატიული მოძრაობა | 0:14:35 | 0:05:26 |
| არჩევანი სამშობლოსათვის | 0:10:13 | 0:04:13 |
| თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის | 0:05:18 | 0:08:39 |
| ზვიად ძიძიგური - საქართველოს კონსერვატიული პარტია | 0:08:28 | 0:02:42 |
| რეფორმერი | 0:05:48 | 0:05:11 |
| გირჩი | 0:09:10 | 0:01:21 |
| ახალი ძალა | 0:05:00 | 0:05:10 |
| მომავალი საქართველო | 0:07:48 | 0:02:20 |
| დამოუკიდებელი დეპუტატობის კანდიდატები | 0:05:36 | 0:03:42 |
| ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები | 0:05:28 | 0:03:43 |
| ირაკლი ოქრუაშვილი - გამარჯვებული საქართველო | 0:06:17 | 0:01:46 |
| პარტია თეთრები | 0:06:31 | 0:01:22 |
| ჯონდო ბაღათურია - ქართული დასი | 0:04:43 | 0:02:55 |
| ბეჟან გუნავა - ქართული არჩევანი | 0:04:06 | 0:03:26 |
| პროგრესული საქართველო | 0:05:47 | 0:01:00 |
| საქართველოს განვითარების პარტია | 0:05:14 | 0:00:52 |
| დავით ჭიჭინაძე - ტრიბუნა- ქდმ | 0:04:13 | 0:01:46 |
| სახალხო პარტია | 0:05:00 | 0:00:55 |
| მშრომელთა სოციალისტური პარტია | 0:05:00 | 0:00:50 |
| გაჩეჩილაძე - მწვანეთა პარტია | 0:05:09 | 0:00:37 |
| ეროვნულ დემოკრატიული მოძრაობა | 0:05:00 | 0:00:28 |
| ქართული იდეა | 0:05:00 | 0:00:17 |
| რეფორმატორები | 0:05:00 | 0:00:15 |
| ქართული მარში - ეროვნული მოძრაობა | 0:02:39 | 0:02:18 |

| | | |
|---|---|---|
| თავისუფალი დემოკრატები | 0:01:58 | 0:01:49 |
| ადგილობრივი თვითმმართველობების არჩევნები | 0:01:42 | 0:01:02 |
| გია ჟორჟოლიანი - სოციალ - დემოკრატები საქართველოს განვითარებისათვის | 0:01:12 | 0:01:15 |
| აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნები | 0:00:44 | 0:00:51 |
| საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა | 0:00:46 | 0:00:39 |
| ზვიადის გზა (ღმერთის, სიმართლისა და ქვეყნისათვის) | 0:00:00 | 0:01:13 |
| თავისუფლება - ზვიად გამსახურდიას გზა | 0:00:40 | 0:00:20 |
| ქართული ფესვები | 0:00:29 | 0:00:22 |
| სერგო ჯავახიძე - ევროატლანტიკური ვექტორი | 0:00:20 | 0:00:30 |
| სოციალური სამართლიანობისათვის | 0:00:32 | 0:00:00 |
| საქართველო | 0:00:09 | 0:00:00 |

(გრაფიკი # 2 - საარჩევნო სუბიექტების პირდაპირი და ირიბი გაშუქების პროცენტული გადანაწილება. 100% ითვლება საანგარიშო პერიოდში თითოეული სუბიექტის პირდაპირი და ირიბი გაშუქების ქრონომეტრაჟიდან)

## პირდაპირი და ირიბი გაშუქება



(გრაფიკი # 3 - საარჩევნო სუბიექტების პირდაპირი და ირიბი გაშუქების ჯამური მაჩვენებელი პროცენტული გადანაწილებით. 100% ითვლება საანგარიშო პერიოდში სუბიექტების პირდაპირი და ირიბი გაშუქების საერთო ქრონომეტრაჟიდან)

## პირდაპირი და ირიბი გაშუქების ჯამური მაჩვენებელი



მონიტორინგის ფარგლებში გაზომილ მონაცემებში აისახა საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას საარჩევნო სუბიექტების ერთმანეთის მიმართ მკვეთრი პოლარიზაცია. სუბიექტების გაშუქების ტონის მიხედვით, გამომსვლელების საუბრისას ყველაზე მაღალი ნეგატიური მაჩვენებელი დაფიქსირდა „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მიმართ (0:38:19). ამ პარტიის მიმართ ყველაზე ნეგატიური გამოსვლებით გამოირჩეოდნენ: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია-ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“, „ლელო - მამუკა ხაზარაძე“, „შალვა ნათელაშვილი -საქართველოს ლეიბორისტული პარტია“; მაღალი ნეგატიური მაჩვენებლით მეორე ადგილზეა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ (0:24:56) ამ ბლოკის მიმართ ნეგატიური გამოსვლები ჰქონდათ პარტიებს: „ქართულ ოცნება - დემოკრატიულ საქართველო“, „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“, „ჩვენი საქართველო- სოლიდარობის ალიანსი“.

ერთმანეთის მიმართ მკვეთრად პოლარიზებული საარჩევნო აქტორების ფონზე, მაუწყებლის გაშუქების ტონის ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი ნეიტრალურია.

(ცხრილი # 3 - საარჩევნო სუბიექტების გაშუქების ტონი. დათმობილი დროის და პროცენტის მითითებით. 100% ითვლება საანგარიშო პერიოდში თითოეული სუბიექტის პირდაპირი და ირიბი გაშუქების ქრონომეტრაჟიდან)

| საარჩევნო სუბიექტები | ნეგატიური | | ნეიტრალური | | პოზიტიური | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო | 24.25% | 0:38:19 | 53.81% | 1:25:01 | 21.93% | 0:34:39 |
| ბლოკი ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია ძალა ერთობაშია | 17.10% | 0:24:56 | 72.79% | 1:46:07 | 10.11% | 0:14:44 |
| ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია - ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის | 2.68% | 0:02:31 | 75.67% | 1:11:04 | 21.65% | 0:20:20 |
| ლელო - მამუკა ხაზარაძე | 4.31% | 0:02:07 | 68.85% | 0:33:47 | 26.83% | 0:13:10 |
| ირაკლი ოქრუაშვილი - გამარჯვებული საქართველო | 8.90% | 0:00:43 | 27.12% | 0:02:11 | 63.98% | 0:05:09 |
| დავით თარხან - მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი | 2.88% | 0:00:42 | 68.98% | 0:16:45 | 28.14% | 0:06:50 |
| ეკა ბესელია - პ.პ. სამართლიანობისთვის | 1.39% | 0:00:20 | 66.60% | 0:15:55 | 32.01% | 0:07:39 |
| სერგო ჯავახიძე - ევროატლანტიკური ვექტორი | 20.00% | 0:00:10 | 80.00% | 0:00:40 | 0.00% | 0:00:00 |
| ბლოკი გიორგი ვაშაძე - სტრატეგია აღმაშენებელი | 0.26% | 0:00:06 | 78.13% | 0:30:33 | 21.61% | 0:08:27 |
| შალვა ნათელაშვილი-საქართველოს ლეიბორისტული პარტია | 0.00% | 0:00:00 | 82.33% | 0:27:20 | 17.67% | 0:05:52 |
| ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი | 0.00% | 0:00:00 | 59.89% | 0:14:17 | 40.11% | 0:09:34 |
| თავისუფალი საქართველო (კახა კუკავა, გიორგი წულაია) | 0.00% | 0:00:00 | 63.05% | 0:13:46 | 36.95% | 0:08:04 |
| ნინო ბურჯანაძე - ერთიანი საქართველო-დემოკრატიული მოძრაობა | 0.00% | 0:00:00 | 92.51% | 0:18:31 | 7.49% | 0:01:30 |
| არჩევანი სამშობლოსათვის | 0.00% | 0:00:00 | 83.14% | 0:12:00 | 16.86% | 0:02:26 |
| თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის | 0.00% | 0:00:00 | 35.96% | 0:05:01 | 64.04% | 0:08:56 |
| ზვიად ძიძიგური - საქართველოს კონსერვატიული პარტია | 0.00% | 0:00:00 | 79.55% | 0:08:53 | 20.45% | 0:02:17 |
| რეფორმერი | 0.00% | 0:00:00 | 18.97% | 0:02:05 | 81.03% | 0:08:54 |
| გირჩი | 0.00% | 0:00:00 | 66.72% | 0:07:01 | 33.28% | 0:03:30 |
| ახალი ძალა | 0.00% | 0:00:00 | 50.82% | 0:05:10 | 49.18% | 0:05:00 |
| მომავალი საქართველო | 0.00% | 0:00:00 | 45.72% | 0:04:38 | 54.28% | 0:05:30 |
| დამოუკიდებელი დეპუტატობის კანდიდატი | 0.00% | 0:00:00 | 70.07% | 0:06:31 | 29.93% | 0:02:47 |
| ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები | 0.00% | 0:00:00 | 68.97% | 0:06:20 | 31.03% | 0:02:51 |
| პარტია თეთრები | 0.00% | 0:00:00 | 43.55% | 0:03:26 | 56.45% | 0:04:27 |
| ჯონდო ბაღათურია - ქართული დასი | 0.00% | 0:00:00 | 77.29% | 0:05:54 | 22.71% | 0:01:44 |
| ბეჟან გუნავა - ქართული არჩევანი | 0.00% | 0:00:00 | 63.27% | 0:04:46 | 36.73% | 0:02:46 |
| პროგრესული საქართველო | 0.00% | 0:00:00 | 51.35% | 0:03:29 | 48.65% | 0:03:18 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველოს განვითარების პარტია | 0.00% | 0:00:00 | 27.87% | 0:01:42 | 72.13% | 0:04:24 |
| დავით ჭიჭინაძე - ტრიბუნა- ქდმ | 0.00% | 0:00:00 | 89.42% | 0:05:21 | 10.58% | 0:00:38 |
| სახალხო პარტია | 0.00% | 0:00:00 | 32.39% | 0:01:55 | 67.61% | 0:04:00 |
| მშრომელთა სოციალისტური პარტია | 0.00% | 0:00:00 | 14.29% | 0:00:50 | 85.71% | 0:05:00 |
| გაჩეჩილაძე - მწვანეთა პარტია | 0.00% | 0:00:00 | 39.31% | 0:02:16 | 60.69% | 0:03:30 |
| ეროვნულ დემოკრატიული მოძრაობა | 0.00% | 0:00:00 | 8.54% | 0:00:28 | 91.46% | 0:05:00 |
| ქართული იდეა | 0.00% | 0:00:00 | 30.60% | 0:01:37 | 69.40% | 0:03:40 |
| რეფორმატორები | 0.00% | 0:00:00 | 100.00% | 0:05:15 | 0.00% | 0:00:00 |
| ქართული მარში - ეროვნული მოძრაობა | 0.00% | 0:00:00 | 82.15% | 0:04:04 | 17.85% | 0:00:53 |
| თავისუფალი დემოკრატები | 0.00% | 0:00:00 | 49.78% | 0:01:53 | 50.22% | 0:01:54 |
| ადგილობრივი თვითმმართველობების არჩევნები | 0.00% | 0:00:00 | 92.68% | 0:02:32 | 7.32% | 0:00:12 |
| გია ჟორჟოლიანი - სოციალ - დემოკრატები საქართველოს განვითარებისათვის | 0.00% | 0:00:00 | 51.02% | 0:01:15 | 48.98% | 0:01:12 |
| აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნები | 0.00% | 0:00:00 | 69.47% | 0:01:06 | 30.53% | 0:00:29 |
| საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა | 0.00% | 0:00:00 | 45.88% | 0:00:39 | 54.12% | 0:00:46 |
| ზვიადის გზა (ღმერთის, სიმართლისა და ქვეყნისათვის) | 0.00% | 0:00:00 | 45.21% | 0:00:33 | 54.79% | 0:00:40 |
| თავისუფლება - ზვიად გამსახურდიას გზა | 0.00% | 0:00:00 | 100.00% | 0:01:00 | 0.00% | 0:00:00 |
| ქართული ფესვები | 0.00% | 0:00:00 | 43.14% | 0:00:22 | 56.86% | 0:00:29 |
| სოციალური სამართლიანობისათვის | 0.00% | 0:00:00 | 90.63% | 0:00:29 | 9.38% | 0:00:03 |
| საქართველო | 0.00% | 0:00:00 | 100.00% | 0:00:09 | 0.00% | 0:00:00 |

(გრაფიკი # 4 - საარჩევნო სუბიექტების გაშუქების ტონი პროცენტული გადანაწილებით. 100% ითვლება საანგარიშო პერიოდში თითოეული სუბიექტის პირდაპირი და ირიბი გაშუქების ქრონომეტრაჟიდან)

## სუბიექტების გაშუქების ტონი



30 სექტემბრიდან, „მოამბე“ (მოამბე 21:00) როგორც კვალიფიციურ, ასევე არაკვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს თანაბრად უთმობს ეთერის 5 წუთს, სადაც მათ შესაძლებლობა აქვთ ამომრჩეველს გააცნონ საკუთარი პროგრამა და ძირითადი გზავნილები. „მოამბის“ მიერ დათმობილი დროით უკვე ისარგებლა 21-მა პოლიტიკურმა პარტიამ. 2-მა უარი თქვა შესაძლებლობის გამოყენებაზე.

**(ცხრილი #4 მოამბეში მოწვეული საარჩევნო სუბიექტები/გამომსვლელები)**

| მოამბე 21:00 - „არჩევნები 2020“ | | | |
|---|---|---|---|
| # | პარტიის დასახელება | გამომსვლელი | გამოყენებული დრო |
| 1 | ქართული იდეა | თავმჯდომარე ლევან ჩაჩუა | 00:05:00 |
| 2 | თამაზ მეჭიაური-ერთიანი საქართველოსთვის | თავმჯდომარე თამაზ მეჭიაური | 00:05:00 |
| 3 | ლელო - მამუკა ხაზარაძე | ისნის მაჟორიტარობის კანდიდატი, ლანა გალდავა | 00:05:00 |
| 4 | მომავალი საქართველო | თავმჯდომარე გიორგი ლაღიძე | 00:05:00 |
| 5 | მწვანეთა პარტია | თავმჯდომარე გიორგი გაჩეჩილაძე | 00:05:00 |
| 6 | პარტია „სამართლიანობისთვის“ | თავმჯდომარე ეკა ბესელია | 00:05:00 |
| 7 | ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობა | აღმასრულებელი მდივანი, ლაშა ცხადაძე | 00:05:00 |
| 8 | საქართველოს განვითარების პარტია | პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, ვახტანგ იაშვილი | 00:05:00 |
| 9 | რეფორმატორები | თავმჯდომარე დავით მიროტაძე | 00:05:00 |
| 10 | არჩევანი სამშობლოსთვის | თავმჯდომარე ლელა გულედანი | 00:05:00 |
| 11 | ახალი ძალა | თავმჯდომარე ლაზარე ზაქარიაძე | 00:05:00 |
| 12 | ჩვენი საქართველო სოლიდარობის ალიანსის | თავმჯდომარე ბექა ნაცვლიშვილი | 00:05:00 |
| 13 | ირაკლი ოქრუაშვილი - გამარჯვებული საქართველო | პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, გურამ ჩალაგაშვილი | 00:05:00 |
| 14 | ჩვენი გაერთიანებული საქართველო | პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, მამისა ჯაფარაშვილი | 00:05:00 |
| 15 | გირჩი | ერთ-ერთი ლიდერი ვახტანგ მეგრელიშვილი | 00:05:00 |
| 16 | საქართველოს კონსერვატიული პარტია | თავმჯდომარე ზვიად ძიძიგური | 00:05:00 |
| 17 | რეფორმერი | თავმჯდომარე თორნიკე ჯანაშვილი | 00:05:00 |
| 18 | სახალხო პარტია | თავმჯდომარე მამუკა გიორგაძე | 00:05:00 |
| 19 | პროგრესული საქართველო | თავმჯდომარე ირაკლი მურცხვალაძე | 00:05:00 |
| 20 | პარტია თეთრები | თავმჯდომარე თემურ შაშიაშვილი | 00:05:00 |
| 21 | მშრომელთა სოციალისტური პარტია | თავმჯდომარე თამაზ ჯაფოშვილი | 00:05:00 |
| 22 | საქართველოს ევროატლანტიკური გზა | | პარტიამ საეთერო დრო არ გამოიყენა |
| 23 | ევროატლანტიკური ვექტორი | | პარტიამ საეთერო დრო არ გამოიყენა |

# მონიტორინგის არასაარჩევნო სუბიექტები

წინასაარჩევნო პერიოდში, ამომრჩეველთან, საარჩევნო სუბიექტების გარდა, კომუნიკაციაშია მთავრობის, პარლამენტის, პრეზიდენტის აპარატის, ცესკოს, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ანგარიშში ნაჩვენებია არასაარჩევნო სუბიექტების პირდაპირი და ირიბი გაშუქება პრაიმ თაიმში.

მონიტორინგის პროცესში მთავრობის გამომსვლელებად ჩათვლილია: პრემიერ მინისტრი, მინისტრები, მინისტრის მოადგილეები, სახელმწიფო რწმუნებულები/ მოვალეობის შემსრულებლები.

**(ცხრილი #5 მონიტორინგის არასაარჩევნო სუბიექტების პირდაპირი და ირიბი გაშუქება დათმობილი დროის მითითებით)**

| პირდაპირი და ირიბი გაშუქება | პირდაპირი | ირიბი |
|---|---|---|
| მთავრობა | 1:59:04 | 2:22:09 |
| საერთაშორისო ორგანიზაციები | 0:26:24 | 1:00:24 |
| ცესკო | 0:18:48 | 0:37:11 |
| პარლამენტი | 0:24:01 | 0:17:19 |
| ადგილობრივი თვითმმართველობები | 0:17:50 | 0:18:06 |
| პრეზიდენტი | 0:09:11 | 0:04:25 |
| არასამთავრობო ორგანიზაციები | 0:05:42 | 0:05:15 |

(გრაფიკი #5 არასაარჩევნო სუბიექტების პირდაპირი და ირიბი გაშუქების პროცენტული გადანაწილება. 100% ითვლება საანგარიშო პერიოდში თითოეული სუბიექტის პირდაპირი და ირიბი გაშუქების ქრონომეტრაჟიდან)




ანგარიშის ფარგლებში მოხდა მთავრობის გაშუქების თემატური მიმოხილვა პროცენტული მაჩვენებლის მითითებით, სადაც 100 % ითვლება საანგარიშო პერიოდში გაშუქებული ინფორმაციის საერთო რაოდენობიდან. „მოამბის" მიერ გაშუქებული იყო საზოგადოების მაღალი ინტერესის შემცველი ისეთი თემები როგორიც არის: ეპიდემიოლოგიური ვითარება და ახალი რეგულაციები (21.5%), რასთან მიმართებაშიც მთავრობის წევრები განცხადებებს აკეთებდნენ მთავრობის სხდომებზე და საკოორდინაციო საბჭოს შეკრებებზე. ეპიდვითარების გარდა, საანგარიშო პერიოდში აქტი-ურად შუქდებოდა საქართველოს თავდაცვისა და ეროვნული უსაფრთხო-ების საკითხები(12.0%) „მოამბემ" პრაიმ თაიმში გააშუქა თავდაცვის მინისტრის შეხვედრა ევროპაში მოკავშირეთა ძალების უმაღლეს სარდალთან, ასევე ჟენევის ფორმატის ჩაშლა. მნიშვნელოვანი დრო დაეთმო საქართველოს და გაეროს თანამშრომლობას(6.3%), გაშუქდა პრემიერ მინისტრის გამოსვლა გაერო-ს გენერალურ ასამბლეაზე, გაეროს სხდომა თბილისში-ტურიზმის თემაზე და სხვა. ბოლო პერიოდში აქტუალური თემაა საქართველო აზერბაიჯანის საზღვრის დემარკაციის საკითხი, რაზეც მთავრობის წევრები სისტემატურად აკეთებენ განცხადებებს (1.9%) და ა.შ.

(გრაფიკი #6 კატეგორიები, რომლებშიც დაჯგუფებულია ყველაზე ხშირად გაშუქებული თემები)

## მთავრობა - ყველაზე ხშირად გაშუქებული თემები





1TV.GE

არჩევნები 2020